სამ. აღწერის ცნობები, ხოლო როგორც მასალა გამოყენებულ იქმნა: შინ. საქ. სახ. კომისარიატის გამოცემა „ს. ს. ს. რ. ადმინისტრატიული დაყოფა",. გამოცემული 1925 წელს, სტატ. ცენტრ. სამმართველოს მიერ 1926 წლის ზაფხულში მოხდენილ სას.-მეურნეობის 10% შერჩევითი გამოკვლევის მასალები და აგრეთვე ადგილობრივი ცნობები. დასახლებულ ადგილთა სიების შედგენა მინდობილი ჰქონდათ ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანოებს; ამ უკანასკნელთა მიერ შედგენილი სიების პირველი განხილვა და შემოწმება ხდებოდა ადგილობრივ—სამაზრო აღმასკომების მიერ დანიშნულ სპეციალურ კომისიებში, რომლის ნამუშევარს ამტკიცებდენ შემდეგ სამაზრო აღმასკომების პრეზიდიუმი: ამ სახით იგზავნებოდა სიები სტატ. ცენტრ. სამმართველოში, სადაც მოხდა ამ სიების უკვე საბოლოო და საფუძვლიანი განხილვა-შემოწმება; ამ საქმეს აწარმოებდა სპეციალისტებისაგან შემდგარი განსაკუთრებული კომისია.

დასახლებულ ადგილთა სიების შევსების შემდეგ შედგენილ იქმნა თვითეულ მაზრისათვის ცალკე **სქემატიური რუქები**, რომლებზედაც აღინიშნა ყველა დასახლებული პუნქტი და აღწერისათვის საჭირო „სხვა სამარშრუტო ნიშნები (თემის საზღვრები, გზები, მდინარეები და სხვა). რუქების შედგენა დავალებული ჰქონდათ ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციებს, რადგან დასახლებულ პუნქტების ადგილმდებარეობის გამორკვევა და რუქაზედ სისწორით აღნიშვნა ადგილობ-

რივ უფრო ადვილი იქნებოდა; ცენტრში იქმნა დამზადებული მხოლოდ ლეჩხუმის და შორაპნის მაზრების რუქები. მაშტაბი რუქებისა იყო ზოგი მაზრისთვის 5 და ზოგისათვის 2 ვერსტი დიუმზე; სახელდობრ, 2 ვერსტიანი მასშტაბით შედგენილია: ახალქალაქის, ახალციხის, დუშეთის, სენაკის, რაჭის და ქუთაისის მაზრების და სამხ.-ოსეთის და აჭარისტანის რუქები, დანაჩენი — 5 ვერსტიანია.

როგორც დასახლებულ ადგილთა სიების, ისე სამაზრო რუქების შედგენა გააძნელა და ნაწილობრივ შეაგვიანა იმ გარემოებამ, რომ სწორედ იმ დროს (1926 წლის ზაფხულის თვეებში) ხდებოდა საქართველოს ახალი ადმინისტრაციული დარაიონება და ვიდრე ეს უკანასკნელი არ იქნებოდა დამთავრებული, რა თქმა უნდა, ზემოაღნიშნულ სიების და რუქების შედგენა შეუძლებელი იყო. მიუხედავად ამ დაბრკოლებისა აღნიშნული სამუშაოები მაინც დროზედ მოესწრო და ორი თვით ადრე აღწერის დაწყებამდე უკვე ხელთ გვქონდა დასახლებულ ადგილთა სრული სიები და სქემატიური რუქები თვითეულ მაზრაზე და ავტონომიურ ერთეულებზე.

გარდა ამისა, წინასწარ სამუშაოებს ეკუთვნოდა აგრეთვე: სოფელ ადგილებში მეკომურთა სიების შედგენა, ხოლო ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში: ქალაქის ტერიტორიის გამორკვევა, ქალაქის სქემატიური გეგმის შედგენა, უსახელო ქუჩებისათვის სახელწოდებების მიცემა და სახლების დანომრვა. აღნიშნული სამუშაოების შე-

სრულება დაევალა სამაზრო და სათემო აღმასრულებელ კომიტეტებს, საქ. შინაგან საქ. სახ. კომისარიატის და საქ. სტატ. ცენტრ. სამმართველოს მიერ ამ საგანზე 1926 წ. 27 ივლისის თარიღით გამოცემულ სპეციალურ დადგენილებების მიხედვით. დიდ ქალაქებში, სახელდობრ ტფილისში, ბათომში და ქუთაისში დანომრილ იქნა აგრეთვე ბინებიც. სქემატიური გეგმები არ შესდგა მხოლოდ რამდენიმე ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილზე; სახელდობრ: წალვერი, ბაკურიანი, საჩხერე, ჩხარი და მანგლისი, რამდენადაც ეს პუნქტები პატარაა მოსახლეობისა და ტერიტორიის მიხედვით და არ წარმოადგენენ წმინდა ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილს; სქემატიური გეგმების სამაგიეროდ ამ პუნქტებში შედგენილ იქმნა მფლობელობათა სიები. აღსანიშნავია, რომ აღმწერთათვის მუშაობის გასაადვილებლად ტფილისის აღმასკომმა ცალკე წიგნაკადაც კი გამოსცა ტფილისის ქუჩების სია ახალი და ძველი სახელწოდებებით.

ყველა ზემოაღნიშნული წინასწარი სამუშაოები დამთავრებული იყო ოქტომბრის პირველ რიცხვებისთვის.

სწორედ ამ დროისათვის, სახელდობრ 15 ოქტომბრის თარიღით გამოცემულ იქმნა სპეციალური და ვრცელი დადგენილება (№ 69) სრულიად საქართველოს ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტისა იმ ღონისძიებათა შესახებ, რაც ხელს შეუწყობდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის წარმატებით განხორციელებას. აღნიშნული დადგენილება

გამოცემული იყო ს. ს. რ. კავშირის ცაკის და სახკომსაბჭოს 1926 წ. 3 სექტემბრის დადგენილების საფუძველზე: „1926 წელს მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერის მოხდენის შესახებ.“ აი ამ დროიდან სააღწერო მუშაობა უკვე ახალ ნიადაგზე დადგა.

ორგანიზაციული მუშაობა ცენტრში.

აღწერის პროგრამისა და ორგანიზაციის ძირითადი საკითხების გამორკვევის და წინასწარი სამუშაოების შესრულების შემდეგ საჭირო იყო კონკრეტიული ორგანიზაციული და ფინანსიური გეგმის შედგენა აღწერის პრაქტიკულად განხორციელებისათვის საქართველოში და მასთან დაკავშირებული ყველა საკითხების დამუშავება. ამ დიდი და მეტად რთული საპასუხისმგებლო სამუშაოს შესასრულებლად სტატ. ცენტრ. სამართველოსთან საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით ოქტომბრის 15-დან დაარსებულ იქმნა სპეციალური ორგანო—სააღწერო განყოფილება, რომლის გამგედ დანიშნულ იქნა მ. ყოჩიაშვილი და რომელსაც დაევალა აღწერის უშუალო ხელმძღვანელობა საქართველოში და მასში შემავალ ავტონომიურ რესპუბლიკებში.

უკვე დაიწყო სისტემატიური, მტკიცე და გაცხოველებული მუშაობა აღწერის მომზადების გარშემო. შემუშავებულ იქმნა როგორც ცენტრისათვის ისე ადგილობრივ სტატისტიკურ ორგანიზაციებისთვის მუშაობის კალენდარული გეგმა, რომლითაც მტკიცედ განსაზ-

ღვრული იყო თვითეული სამუშაოს შეერთების ვადა; ვადების დაცვა სასტიკად ეთხოვებოდა ყველას, ვინაიდან ერთი რომელიმე სამუშაოს ჩამორჩენა, ცხადია, გამოიწვევდა მთელი ორგანიზაციული გეგმის დარღვევას. მტკიცედ იქმნა დაყენებული აგრეთვე ინფორმაციის საქმე. ყველა სამაზრო სტატბიურო ვალდებული იყო კვირაში ერთხელ (დანიშნულ დღეს) წარმოედგინა საალწერო განყოფილებაში ვრცელი მოხსენება აღწერის მოსამზადებელი მუშაობის მსვლელობის შესახებ და მოეხსენებია იგივე სამაზრო აღმასკომისთვის. საალწერო განყოფილება თავის მხრივ აკეთებდა მოხსენებებს ამავე საგანზე, სტატ. ცენტრ. სამართველოს კოლეგიის ყოველ სხდომაზე (პირველ საკითხად), ყოველ შემთხვევაში კვირაში ერთხელ მაინც: ხოლო სტატ. ცენტრ. სამმართველოს მმართველი დანიშნულ დღეებში აკეთებდა მოხსენებას საქ. სახ. კომ. საბჭოს სხდომებზე საალწერო მუშაობის მიმდინარეობის შესახებ საქართველოში. დაახლოვებით ერთი თვის განმავლობაში საალწერო განყოფილებამ დაამთავრა ყველა ორგანიზაციული საკითხების დამუშავება და მრავალი წინასწარი სამუშაოების შესრულება. შედგენილ იქმნა აღწერის წარმოების ორგანიზაციული და ფინანსიური გეგმა; რესპუბლიკის ტერიტორია დაყოფილ იქმნა საალწერო რაიონებად და დანიშნულ იქმნენ თვითეულ რაიონში ხელმძღვანელები და რწმუნებულები. დამუშავდა აღწერის ინსტრუქციები; გადითარგმნა ქართულ ენაზე აღწერის ყველა ფორ-

მულიარები და ინსტრუქციები. საალწერო ფორმულიარების თარგმანი განხილულ იქმნა განათლების სახ. კომისარიატთან არსებულ სამეცნიერო-სატერმინოლოგიო კომიტეტში, რის შემდეგ ალწერის ძირითადი ფორმულიარები დამტკიცებულ იქმნა საქ. სახ. კომ. საბჭოს მიერ.

ამავე ხნის განმავლობაში სწარმოებდა საალწერო ფორმულარებისა და ინსტრუქციების ბეჭდვა: სულ საქართველოსათვის, ავტონომიურ რესპუბლიკებით, დაიბეჭდა მთავარი საალწერო ფორმულიარი: პირადობის 3.350,000 ცალი (აქედან ქართულად 2.600.000, ხოლო რუსულად 750.000), საიჯარო ბარათი 258.000 (ქართულად 225.000, რუსულად 33.000), სახლკარის ბარათი 84.500 (ქართულად 69.000, რუსულად 15.500) და დანარჩენი დამატებითი ფორმულიარები და ინსტრუქციები (ჯ სსვა და სხვა ფორმა*) საერთო რაოდენობით ქართულსა და რუსულ ენაზე დაახლოვებით 100.000 ცალი.

დაბეჭდვის შემდეგ ყველა ფორმულიარები, ინსტრუქციები და აგრეთვე საჭირო საკანცელარიო ნივთები განაწილდა და დაიგზავნა მაზრებში სპეციალური ექსპედიციის საშუალებით.

ამავე ხანში გამონახულ იქმნა აგრეთვე სპეციალური ფართე შენობა ალწერისთვის. გაუკეთდა საჭირო შეკეთება, მოწყობილ იქმნა

---

*) საალწერო ფორმულირების და ინსტრუქციების სრული კომპლექტი დართული აქვს „სახელმწიფო სტატისტიკის მოამბე“-ს № 4-5, 1926 წელს.

და ამ ჟამად იქ უკვე სწარმოებს აღწერის მასალების დამუშავება. შენობა იტევს დაახლოვებით 300-მდე კაცს. იქვე მოწყობილია არქივი, რომელშიაც ინახება აღწერის მთელი მასალა.

როდესაც საალწერო განყოფილების მიერ დამთავრებული იყო აღწერის ორგანიზაციული სქემა და მასთან დაკავშირებული სამუშაოზე მოწვეულ იქმნა ტფილისში აღწერის სამაზრო ხელმძღვანელების და რწმუნებულების საქმიანი თათბირი, რომელზედაც დეტალურად გარჩეულ იქმნა აღწერის ყველა ფორმულიარები, ინსტრუქციები და ორგანიზაციული გეგმა. თათბირმა იმუშავა 4 დღე— 20-25 ნოემბრამდე.

ამ თათბირით უკვე დამთავრდა ყველა მოსამზადებელი სამუშაოები და ცენტრის კაბინეტური მუშაობა პროგრამულ ორგანიზაციული საკითხების გარშემო; ეხლა უკვე მზად იყო ყველა ის, რაც საჭირო იქნებოდა აღწერის დასაწყებად, როგორც სუბიექტიური, ისე ობიექტიური — მატერიალური საშუალებანი; ამის შემდეგ უკვე შეიძლებოდა აღწერის ორგანიზაციის პრაქტიკულად ჩამოყალიბება და დასახული გეგმის რეალურად გახორციელება. მუშაობის სიმძიმე გადატანილ იქმნა ცენტრიდან პერიფერიებში; ზემოაღნიშნულ თათბირის დამთავრების თანავე აღწერის სამაზრო ხელმძღვანელები და რწმუნებულები გაემგზავრნენ თავის სამუშაო ადგილზე და აქედან გაჩაღდა კიდევ ცოცხალი მუშაობა.

აღწერის პოპულიარიზაცია.

ისეთი მასსიური სტატისტიკური სამუშაოს წარმატებით შესრულება მოსახლეობის საყოველთაო დაკითხვის წესით, როგორსაც წარმოადგენს მოსახლეობის აღწერა, შეუძლებელია, თუ ამ სამუშაოს წინასწარ არ ექნება მომზადებული ნიადაგი ხალხში, თუ მოსახლეობას არ ექნეს სწორი წარმოდგენა სამუშაოს მიზნებისა და ამოცანების შესახებ, თუ მას არ ექნება მოპოვებული მშრომელი მასების თანაგრძნობა. ეს გარემოება კარგად ჰქონდათ გათვალისწინებული აღწერის ხელმძღვანელ ორგანოებს და ამ უკანასკნელთა მიერ ამ მიმართულებით მეტად დიდი და სასარგებლო მუშაობა იქმნა შესრულებული. აქამდე არც ერთ მასსიურ სტატისტიკურ სამუშაოს საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არ ჰქონია ისეთი პოპულიროვბა, მთელი მოსახლეობის საყოველთაო თანაგრძნობა და სიმპატიები, როგორიც წილად ხვდა მოსახლეობის სრულიად საკავშირო აღწერას 1926 წელს და რომელიც, რასაკვირველია, შედეგი იყო საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების მიერ ჩატარებულ ფართე კომპანიისა აღწერის მიზნებისა და ამოცანების განმარტებისათვის. ზედმეტია ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენში ამ აუცილებელ პირობას სრულიად მოკლებული იყო ხოლმე აღწერები ძველად, საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე.

ჯერ კიდევ 1925 წელს, როდესაც მოსახლეობის აღწერის გარდა განზრახული იყო

იგრეთვე სას-სამეურნეო აღწერის მოხდენაც, საქ სტატ. ცენტრ. სამართველოსთან დაარსებულ იქმნა სპეციალური საპროპაგანდო კომისია, აღწერის იდეის პოპულიარიზაციის გარშემო მუშაობის გასაწევად. კომისიაში შედიოდნენ წარმომადგენელი პარტიის, პროფსაბჭოსი, ახალ კომკავშირის და ადგილობრივი პრესის; მაგრამ როდესაც სას.-სამ. და სავაჭრო-სამრეწველო აღწერების საკითხი მოიხსნა—აღნიშნული კომისიაც გაუქმდა; კომისიის ფუნქციები შემდეგში გადაეცა საალწერო განყოფილებას. ამ კომისიამ თვით მუშაობის მცირე ხნის განმავლობაში მაინც მოასწრო ერთი პოპულიარული ბროშურის გამოცემა, ამ სახელწოდებით: **„სტატისტიკა მშრომელთა მეგობარია."** ეს ბროშურა დაიბეჭდა ოთხ ენაზე (ქართულ და სომხურ-თურქულ-რუსულზე) და აღწერის ერთი თვით ადრე ფართედ გავრცელდა მოსახლეობაში—30.000 ეკზემპლიარად (აქედან ქართულ ენაზე 20.000). იგივე ბროშურა დაბეჭდილი იყო ცალკე გაშლილ ფურცელზე—კედელზე გასაკრავად. გავრცელებული იყო აგრეთვე ა/კ. სტატ. ცენტრ. სამართველოს მიერ დამზადებული მხატვრული პლაკატი.

დიდი სამსახური გაუწია აღწერას საბჭოთა პრესამ; ტფილისის გაზეთებში, დაწყობილი რამდენიმე თვით ადრე აღწერამდე, სისტემატიურად თავსდებოდა სპეციალური წერილები აღწერის მნიშვნელობის შესახებ და ინფორმაცია.

გაზეთებში დაარსდა სპეციალური განყო-

ფილებაც და აღწერის მოახლოვებისას უკვე ყოველდღიურად იბეჭდებოდა ფართე საინფორმაციო მასალა, პოპულიარული წერილები და სტატ. ცენტრ. სამართველოს განმარტებითი მასალები აღწერის პროგრამულ—ორგანიზაციულ საკითხებზე ფართე მასებისთვის. გარდა ამისა გაზ. „კომუნისტის“-ს რედაქციამ თავისი გაზეთის 1 დეკემბრის ნომერში დაუთმო აღწერას სპეციალური ფურცელი რომელშიაც მოთავსებული იყო ფართე განმარტებითი მასალა აღწერის ხელმძღვანელ პირების და სახელმწიფო სტატისტიკის პასუხისმგებელ მუშაკთა მიერ. ამავე ნომერში დაბეჭდილი იყო ამხ **ფ. მახარაძის** და **ს. ჯუღელის** წერილები. ასეთივე სპეციალური ნომრები გამოუშვეს გაზეთებმა: „ზარია ვოსტოკა“, „მარტკოჩ“-მა და „იენი ფიკირ“-მა. დიდ ადგილს უთმობდა თავის ფურცლებზე მუშათა გაზეთები: „მუშა“ და „რაბოჩაია პრავდა“-მ. სპეციალური სააღწერო მასალა იბეჭდებოდა აგრეთვე ავტონომიური რესპუბლიკების ადგილობრივ პრესაში: აჭარისტანის გაზ. „ფუხარა“-ში, აფხაზეთის „ტრუდოვაია აფხაზია“-ში და სამ. ოსეთის „ხურზარინ“-ში.

არა ნაკლები სიძლიერით სწარმოებდა სიტყვიერი პროპაგანდა. ამ მხრივ დაუფასებელია პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციების როლი. ყველა პარტიული ორგანოები, დაწყებული ცენტრიდან და გათავებული სოფლის უჯრედამდე უაღრესად დიდ ყურადღებასა და მზრუნველობას იჩენდნენ აღწერისადმი. ყველა უჯრედების ღია სხდო-

მებზე, პარტიულ თათბირებზე და კონფერენციებზე კეთდებოდა მოხსენებები აღწერის შესახებ იმ მიზნით, რომ პარტიული აქტივის საშუალებით გავრცელებულიყო ხალხში სწორი აზრი და შეხედულება მომავ`ლ აღწერაზე. გარდა ამისა პარტიული ხაზით ჩატარებულ იქმნა მთელ საქართველოში ერთიანი პარტიული დღე მოსახლეობის აღწერის საკითხებისთვის. ასეთივე ყურადღება გამოიჩინეს პროფორგანიზაციებმა — მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებებზე საკითხების დასმით აღწერის შესახებ და მის გამო სპეციალური პროფესიონალური დღის ჩატარებით.

ადგილობრივ, ისვით სოფლებში, იმართებოდა საუბრები გლეხებთან, სპეციალური ლიტერატურის კითხვა და სხვა. აღწერის წინ, უმეტეს შემთხვევაში, ვიდრე აღწერას შეუდგებოდნენ თემის ალმასკომები იწვევდნენ სათემო საბჭოს კრებებს და ასეთი საზეიმო აქტით ამცნობდნენ მოსახლეობის აღწერის დაწყებას.

აღწერის რამდენიმე დღით ადრე განათლების სახ. კომისარიატის ხაზით ყველა საფეხურის სკოლებში გაიმართა საუბრები მოწაფეებთან აღწერის შესახებ და სახლში დაბრუნებულმა ზღვა ბავშვებმა და მოზარდმა ახალგაზრდობამ მოჰფინეს სოფელსა და ქალაქს აღწერის ამბავი.

საქართველოს ცაკის და სახკომსაბჭოს მიერ გამოცემულ იქმნა მოწოდება საქართველოს მოსახლეობისადმი აღწერის ხელშეწყობისა და დახმარებისათვის. ანალოგიური მო-

წოდებანი გამოსცეს საქ. კომპარტიის ცეკამ და საქ. პროფკავშირთა საბჭომ.

აღწერის დაწყების დღეს—17 დეკემბერს ყველა გაზეთები გამოვიდა დიდი ანშლაგებით და ლოზუნგებით აღწერის შესახებ. განსაკუთრებით საინტერესო იყო აღწერის დღეებში ქ. ტფილისი; ტრამვაის ვაგონები მორთული იყო საალწერო ფერადი პლაკატებით, საქ. სახკინმრეწვის ყველა კინო-თეატრების ეკრანზე აღწერის მთელ საოპერაციო პერიოდის განმავლობაში სურათის თვითეულ ნაწილს სცვლიდა ლოზუნგები და მოკლე მოწოდებანი აღწერის შესახებ; ყველა ქუჩებზე, თვალსაჩინო ალაგს და საკრებულო ადგილებში გაკრული იყო პლაკატები და მთავრობის მოწოდებანი აღწერის შესახებ; დიდი ქუჩების გზა-ჯვარედინზე ფრიალებდა ტილოს დიდი ანშლაგები; აღწერის დღეს ტფილისში სპეციალურათ აშვებული ჰაეროპლანები აბნევდენ ფერად ფურცლებს, სადაც მოთავსებული იყო აღწერის ლოზუნგები. ქარიანი ამინდის გამო ფურცლები გაიბნა ახლო-სოფლებში.

ღონისძიებანი აღწერის დასახმარებლად.

აღწერის ხელმძღვანელ ორგანოებს თავიდანვე ჰქონდათ განცხადებული, რომ მათ მხოლოდ და მხოლოდ თავისი საკუთარი ძალებით არ შეუძლიანთ ამ დიდი და საპასუხისმგებლო სამუშაოს განხორციელება, თუ

მათ ამ საქმეში აქტიურ დახმარებას არ გაუ-
წევდენ ხელისუფლების ორგანოები, პარტიუ-
ლი და პროფესიული ორგანიზაციები და მთე-
ლი საბჭოთა საზოგადოებრივობა. აღწერა გა-
მოცხადებულ იქმნა დიდ საზოგადოებრივ-
კულტურულ საქმეთ, ხოლო მისთვის დახმა-
რების გაწევა—ყველა ორგანი-ზაციების და
ყველა პატიოსან მოქალაქის ზნეობრივ მო-
ვალეობად.

საქ. სახ. კომ. საბჭოს დადგენილებით
დაარსებულ იქმნა აღწერის დამხმარე ცენტრა-
ლური კომისია სახკომსაბჭოს თავმჯდომა-
რის ამხ. **ელიავას** თავმჯდომარეობით; კო-
მისიაში შედიოდნენ: შინაგან საქმეთა სახ.
კომისარი, განათლების სახ. კომისარი,
პროფკავშირთა საბჭოს თავმჯდომარე და
სტატ. ცენტრ. სამართველოს მმართველი. ამ
კომისიას მინდობილი ჰქონდა სახკომსაბჭოსა-
გან ყოველგვარი ღონისძიებების მიღება და
საჭირო განკარგულებების გაცემა, როდე-
საც ამას მოითხოვდა აღწერის საქმე. ამავე
მიზნით დაარსებულ იქმნა აღწერის დამხმა-
რე სამეულები აგრეთვე ყველა სამაზრო აღ-
მასკომებთან, აფხაზეთისა და აჭარისტანის
სახკომსაბჭოებთან და სამხ.-ოსეთის ცაკთან.
დამხმარე სამეულები საკუთარი ინიციატივით
დაარსებული იყო ბევრ სათემო აღმასკომებ-
თანაც კი.

აღწერის წარმატებით ჩატარებისათვის,
რასაკვირველია, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა
ტრანსპორტს და კავშირის საშუალებებს; ამ
მხრივ საკავშირო მთავრობის დადგენილებით

შემოღებული იყო მთელი რიგი შეღავათებისა აღწერისთვის: საალწერო პერსონალს რკინის გზის ყველა სადგურებზე და გემებზე სამგზავრო ბილეთები ეძლეოდა რიგს გარეშე; საალწერო ტვირთს რკინის გზა, თუ სახლვაო ტრანსპორტი იღებდა რიგს გარეშე და გზავნიდა დანიშნულ ადგილზე დაუბრკოლებლივ: ფოსტა-ტელეგრაფის უწყება აღწერის კორესპონდენციას და ამანათებს, რომელსაც სათანადო წარწერა ჰქონდა, გზავნიდა სასწრაფო წესით და სხვა.

დიდი დახმარება გაუწია აღწერას მიმოსვლის და კავშირის საშუალებების აღმოჩენით ხელისუფლების ადგილობრივმა ორგანოებმა. მიმოსვლის საშუალებებით და სათემო ტელეფონებით უმეტეს შემთხვევაში უფასოთ სარგებლობდნენ აღწერაზე მომუშავენი ადგილობრივ; უფასოთვე ეძლეოდათ ალმასკომების მიერ აღწერის პერსონალს ბინა, სადაც საჭირო იყო. მარტო ამით არ განისაზღვრებოდა ადგილობრივი ხელისუფლების დახმარება; თვით აღწერის პროცესში ბევრგან თემის საბჭოს წევრები დაჰყვებოდნენ აღმწერლებს კარდაკარ მოსახლეობის დაკითხვის დროს; ზოგან კა სპეციალური გამყოლები ჰყავნდათ დანიშნული; ზოგიერთ კუთხეში თვისებურ საშუალებებსაც ხმარობდნენ: მაგალითად, ახალციხის მაზრაში და თვით ქ. ახალციხეში ყოველ საღამოს (აღწერის დღეებში) ადათისამებრ უბან-უბან დადიოდა გზირი და თავისი განწირული ძახილით ამცნობდა მოსახლეობას აღწერის მოახლოვებას და

აფრთხილებდა მოქალაქეებს უცხო სტუმრის—აღწერის დასახვედრათ. ადგილი ჰქონდა აგრეთვე ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების მხრივ ფულად დახმარებასაც. ამ მხრივ უხვი დახმარება აღმოუჩინა აღწერას და დიდი თანხები გაიღო მისთვის ტფილისის აღმასკომმა. ასეთივე დახმარება გაუწია აღწერას აჭარისტანის და აფხაზეთის სახ. კომ. საბჭოებმაც.

მაგრამ ყველაზედ უფრო დიდი მსხვერპლი აღწერისთვის გაიღო განათლების სახალხო კომისარიატმა: მან აღწერის გამო საზამთრო ვაკაციები სოციალური აღზრდის ყველა სასკოლო დაწესებულებებში იანვრიდან გადმოიტანა დეკემბერში (15—31 დეკემბრამდე) რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე (გარდა ქ. ტფილისისა), რომ ამით განთავისუფლებულიყო პედაგოგიური პერსონალი, რომლისგანაც შესდგა შემდეგ სააღწერო პერსონალის მთავარი კადრი. მასწავლებელთა განთავისუფლებისა და მათი გამოყენების გარდა აღწერის გამო სწავლის შეწყვეტამ სკოლებში დიდი სამსახური გაუწია აგრეთვე აღწერის პოპულიარიზაციის ფართე მასებში.

აღწერის ორგანიზაციის სქემა.

როგორ იყო მოწყობილი აღწერა ორგანიზაციულად? აღწერის გრანდიოზული და რთული ორგანიზაციის სრული სურათის მიცემა და ყველა დეტალების აღნუსხვა ბევრ ადგილს დაიჭერდა ამ მოკლე მიმოხილვაში;

ამიტომ ამჟამად აღვნიშნავთ მხოლოდ ამ ორგანიზაციის უმთავრეს მხარეებს.

რესპუბლიკის მთელი ტერიტორია გაყოფილი იყო 21 სააღწერო რაიონად, რომლის საზღვრები ყველგან შეფარდებული იყო არსებულ ადმინისტრატიულ-პოლიტიკურ ერთეულებთან (აფხაზეთი, აჭარისტანი, სამხ.-ოსეთი, 16 მაზრა, ფოთის რაიონი და ქ. ტფილისი); *) თვითეულ სააღწერო რაიონის სათავეში იდგა ხელმძღვანელი—ადგილობრივი სტატისტიკური ბიუროს (ან სამართველოს) გამგე; ხელმძღვანელის გარდა, თითქმის ყველა სააღწერო რაიონში, ავტონომიური რესპუბლიკების გამოკლებით, დაგზავნილნი იყვნენ ცენტრიდან სტატ. ცენტრ. სამართველოს რწმუნებულები. თვითეული სააღწერო რაიონი იყოფოდა საინსტრუქტორო უბნებად, რომელსაც განაგებდა ინსტრუქტორი; ასეთი უბანი იყო სულ, როგორც ქალაქებში, ისე სოფელ ადგილებში 337; თავის მხრივ საინსტრუქტორო უბნები ნაწილდებოდა ამღწერის (ანუ რეგისტრატორის) უბნებად; ეს უკანასკნელი იყო ძირითადი სააღწერო ერთეული; იგი ჩაბარებული ჰქონდა ამწერს და მას ევალებოდა ამ უბნის ტერიტორიაზე მცხოვრებ მოსახლეობის აღწერა; ამწერის უბნების საერთო რაოდენობა უდრიდა 3978. ძირითადი საფუძვლები, რომლის მიხედვით

*) ქ. ქ. ტფილისი, ბათომი და ქუთაისი თავის მხრივ იყოფოდა სააღწერო უბნებად (სამილიციო უბნების მიხედვით); გამოყოფილ იქმნა აგრეთვე აფხაზეთშიც ოთხი სახელმძღვანელო რაიონი.

მოხდენილ იქმნა ტერიტორიის დაყოფა საალწერო ერთეულებად და საჭირო საალწერო პერსონალის რაოდენობის გამოანგარიშება იყო შემდეგი· სტატისტიკური პრაქტიკის მიხედვით მიღებულ იქმნა' რომ თვითეულ აღმწერს უნდა შეევსო დღეში 55 ,,პირადობის ბარათი" სოფელ ადგილებში და 70 „პირადობის ბარათი" ქალაქებში, და ქალაქის ტიპის დასახელებულ ადგილებში („საოჯახო ბარათი" და „სახლკარის ბარათი", რომელიც სდგებოდა ქალაქებში, სათვალავში არ იყო მიღებული, სოფელ ადგილებისთვის, როგორც ზევით იყო აღნიშნული, არსებობდა მხოლოდ „პირადობის ბარათი"); ამ ანგარიშით, თუ მივიღებთ მხედველობაში რომ აღწერის პროცესი უნდა გაგრძელებულიყო ქალაქებში 7 დღე და სოფლებში 14 დღე, ერთი აღმწერის უბანი საშუალოდ რესპუბლიკაზე შეიცავდა ქალაქებში 490, ხოლო სოფლებში 770 მცხოვრებს. მაგრამ რესპუბლიკის ყველა კუთხეებში ერთნაირი პირობები არ არის როგორც მიმოსვლის, ისე მოსახლეობის სიმჭიდროვის და ტერიტორიაზე განაწილების მიხედვით და ყველგან ერთნაირი ნორმების დაწესებაც არ შეიძლებოდა. ამის გამო აღმწერის დღიური გამომუშავების ნორმის მიხედვით საალწერო რაიონები (მაზრები და ავტონომიური ერთეულები) დაყოფილ იქმნა სამ ჯგუფად: პირველი ჯგუფის რაიონებისთვის დაწესებულ იქმნა საშუალო ნორმად 50 „პირადობის ბარათი" დღეში (დუშეთის, ლეჩხუმის და ზ. სვანეთის მაზრები, აფხაზეთი, აჭარისტანი და სამ. ოსეთი);

მეორე ჯგუფისთვის—80 ბარათი (ბორჩალოს, გორის, ტფილისის, ზუგდიდის, შორაპნის, ახალციხის და რაჭის მაზრები), ხოლო მესამე ჯგუფისთვის—60 ბარათი დღეში (ახალქალაქის, სიღნაღის, თელავის, ქუთაისის, ოზურგეთის და სენაკის მაზრები). ეს ნორმები იყო დანიშნული სოფელ ადგილებისათვის, ხოლო რაც შეეხება ქალაქებს და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებს—აქ ყველგან დატოვებულ იქმნა საშუალო რესპუბლიკანური ნორმა—70 ბარათი დღეში. აღნიშნული ნორმები იყო საშუალო, რომლის მიხედვით სწარმოებდა ძირითადი კადრის—აღმწერთა რაოდენობის გამოანგარიშება მთელ მაზრაზე ან ქალაქზე, ხოლო მაზრის ან ქალალაქის შიგნით კი, სამაზრო ხელმძღვანელს უფლება ჰქონდა ადგილობრივი პირობების მიხედვით დაეწესებინა სხვა და სხვა რაიონებში სხვა და სხვა ნორმები, რა თქმა უნდა, საშუალო ნორმის დაურღვევლად.

საშუალო კატეგორიის სააღწერო პერსონალის—სახელდობრ ინსტრუქტორების შტატი შესდგა შემდეგი ვარაუდით: 1 ინსტრუქტორი სოფელ-ადგილებში 10 აღმწერზე, ხოლო ქალაქებში 15 აღმწერზე.

ხელფასი აღმწერებს ეძლეოდათ სანარდო სისტემით, სახელდობრ 1 შევსებულ „პირადობის ბარათზე" 3 კაპეიკი ქალაქებში, ხოლო სოფელ ადგილებში 3 „პირადობის ბარათზე" 11 კაპეიკი. საოჯახო და სახლკარის ბარათების შევსება არ ყოფილა მიღებული მხედველობაში. საოპერაციო პერიოდის გარ-

და აღმწერს დღიურად ეძლეოდა რამდენიმე დღის ხელფასი წინასწარი მომზადებისა და შემდეგ მასალების ჩაბარებისათვის; ასე რომ საერთო რიცხვით აღმწერს ჰქონდა სამუშაო დღე ქალაქებში 11 და სოფლებში 19. ინსტრუქტორს ხელფასი დღიურად ეძლეოდა: ქალაქებში 2 მ. 50 კ. დღეში და სოფელ ადგილებში 3 მანეთი; მისი სამუშაო დღეების რიცხვი უდრიდა 15-ს ქალაქებში და 22-ს სოფელ ადგილებში.

საგზაო ხარჯებისთვის თანხა ეძლეოდა მხოლოდ ინსტრუქტორს—ფაქტიურად გაწეულ ხარჯების მიხედვით (საშუალოდ თვითეულ ინსტრუქტორებზე მოდიოდა 20 მანეთი) აღმწერლებს საგზაო არ ეძლეოდათ, რადგა იგინი ყველგან ადგილობრივი მცხოვრებნი იყვნენ, მათი უბნის რადიუსი მეტად მცირე იყო და შორ მანძილზე მიმოსვლა არ სჭირდებოდათ.

როგორ იყო დაყენებული შტატის შედგენის და მომზადების საქმე? შტატის შედგენა მინდობილი ჰქონდათ სამაზრო ხელმძღვანელებს, რომელთაც ეხმარებოდნენ კანდიდატის განხილვა-შერჩევაში სპეციალური კომისიები, სათანადო ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან შემდგარი. კანდიდატების აღრიცხვა სპეციალური ანკეტების საშუალებით სწარმოებდა ოქტომბრიდანვე. ასე რომ აღწერამდე ერთი თვით ადრე სტატ. ცენტ. სამართველოს ხელთ ჰქონდა ამ მხრივ სრული სურათი და იცოდა რომელ მაზრაში რამდენი და რა კვალიფიკაციის ძალები ეყოლებოდა.

შტატის შედგენის დროს პირველ რიგში უნდა ყოფილიყო აყვანილი ადგილობრივი მასწავლებელი, როგორც ადგილობრივი პირობების მცოდნე და ხალხის თვალში ნდობა დამსახურებული პირი. უცხო პირის გაგზავნა სოფელში, ე. ი. მაზრის ან რესპუბლიკის ცენტრში შეკრება შტატის და აქედან დაგზავნა სოფლებში აკრძალული იყო, რადგან ეს არ იყო მიზანშეწონილი თვით აღწერის ინტერესების მიხედვით, ზედმეტ ხარჯებსაც გამოიწვევდა მიმოსვლაზე და არც იყო ეს საჭირო საქართველოს პირობებში, სადაც ამ საქმისთვის საჭირო კულტურული ძალები საკმარისად მოიპოვება სოფლად. მართლაც ისე გაიარა აღწერამ რომ არ ყოფილა შემთხვევა, რომ საჭირო გამხდარიყოს აღმწერის გაგზავნა მაზრის ცენტრიდან სოფელში. გარდა ს-ოსეთის და აჭარის რამდენიმე რაიონისა.

დიდი მნიშვნელობა ჰქონდა და დიდ სირთულესაც წარმოადგენდა შტატის მომზადების საკითხი. ყველაზედ უკეთესი იქნებოდა, რა თქმა უნდა, მთელი სააღწერო პერსონალის შეკრება მაზრის ცენტრში, მათი ერთად მომზადება და დაგზავნა თავიანთ უბნებში; მაგრამ ასეთი წესი აუარებელ ხარჯებს მოითხოვდა და ამ საქმეზედ ამდენი თანხების დაბანდება შეუძლებელი იყო. ამის გამო მიღებულ იქმნა ასეთი წესი: ინსტრუქტორები მომზადებულ იქმნენ მაზრის ცენტრში, მიიღეს ყველა საჭირო ინსტრუქციები, მასალები და რამდენიმე დღით ადრე გაემგზავრნენ თავის საინსტრუქტორო უბნებში, რომ

აქ მათ თავი მოეყარნათ თავის აღმწერლებისთვის, მოემზადებინათ და დანიშნულ დღეს შესდგომოდნენ აღწერას. მაშასადამე, როგორც საერთო წესი აღმწერლების მომზადება ევალებოდათ ინსტრუქტორებს; მაგრამ ინსტრუქციისა და ყველა პროგრამული საკითხების მთლიანობის და ერთგვარობის დასაცავად, რასაც უპირველესი მნიშვნელობა აქვს მასსიური სტატისტიკური სამუშაოების დროს, მაზრის ხელმძღვანელებს და რწმუნებულებს მიცემული ჰქონდათ დირექტივა, ადგილობრივ პირობების მიხედვით მოეწყოთ ისე, რომ აღმწერთა მომზადების საქმე უმთავრესად ხელმძღვანელი პერსონალის ხელში ყოფილიყო და არა მხოლოდ ინსტრუქტორების. ჩვენმა სამაზრო ხელმძღვანელებმა და რწმუნებულებმა, უნდა ითქვას რომ, ყველგან შესძლეს ეს და ძალიან იშვიათი იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც აღმწერნი მხოლოდ ინსტრუქტორის მომზადებით უდგებოდენ აღწერას.

აღწერის ფორმულიარები, ინსტრუქციები და სხვა საჭირო მასალა თავის დროზე დაგზანილი იყო საინსტრუქტორო ცენტრებში და მომზადების შემდეგ—აღწერის დაწყების წინა დღეს თვითეული რეგისტრატორი უკვე თავის საალმწერო უბანში იყო, მიღებული ჰქონდა ყველა საჭირო მასალები ინსტრუქტორისაგან და ყოველმხრივ მზად იყო, რომ მეორე დღეს, დილიდანვე შესდგომოდა აღწერას.

რა მასალა ეძლეოდა ხელში აღმწერს? უპირველეს ყოვლისა, რასაკვირველია, საალ-

წერო ფორმალიარები მისი უბნის მცხოვრებთა რაოდენობის მიხედვით, ცოტაოდენი მარაგით, ინსტრუქციები და ქინძისთავები ბლანკების ერთიმეორეზე მისამაგრებლად; გარდა ამისა თვითეულ აღმწერს ეძლეოდა: სოფელ ადგილებში—მის უბანში შემავალ სოფლების სია და მეკომურთა სია, მცხოვრებთა რაოდენობის აღნიშვნით, რომელიც შედგენილი იყო იმ თანამიმდევრობით, როგორც გაშენებულია სინამდვილეში მეკომურთა საცხოვრებელი სადგომები. სქემატიური რუქებით, რომელიც სპეციალურად დამზადებული იყო აღწერისთვის, სარგებლობდნენ სამაზრო ხელმძღვანელები და ინსტრუქტორები ტერიტორიის სააღწერო ერთეულებად დაყოფისა და მარშრუტის შესამუშავებლად. ქალაქის აღმწერს მეკომურთა სიის ნაცვალად ეძლეოდა თავისი უბნის პლანშეტი, რომელზედაც მკაფიოდ იყო აღნიშნული თვითეული ქვარტალის საზღვრები, ქუჩების სახელწოდება და სახლების ნომრები.

აღწერის საერთო სისტემიდან ორგანიზაციულად გამოცალკევებული იყო ჯარის, ფლოტის და პოლიტსამმართველოს სამხედრო ნაწილების აღწერა. ამათ აღწერას აწარმოებდნენ თვით სამხედრო უწყების მიერ გამოყოფილი სპეციალური პირები სტატ. ცენტრ. სამართველოს ხელმძღვანელობით და საერთო ფორმებით და ინსტრუქციებით. პროგრამულორგანიზაციულ საკითხების შეთანხმების მიზნით სტატ. ცენტრ. სამმართველოსთან არსებობდა სამხედრო აღწერის კომისია, ხოლო

მუდმივი კონტაქტის და ცოცხალი კავშირის დასაჭერად სამარი.ველოს გამოყოფილი ჰყვანდა სპეციალური პირი სამხედრო აღწერის რწმუნებულად. დამთავრების შემდეგ სამხედრო აღწერის მასალები სამხედრო ხელმძღვანელების მიერ ჩაბარებულ იქმნა სამართველოს საალწერო განყოფილებაში.

განსაკუთრებული წესით ხდებოდა აღწერა აგრეთვე დახურულ დაწესებულებებში და ინტერნატებში ·(გამასწორებელ სახ.ლები, პოლიტ-სამართველოს ორგანოები, საავადმყოფოები, საბავშო სახლები, ინტერნატები); აღწერის მოხდენა აქაც მინდობილი ჰქონდათ თვით ამ დაწესებულებების ადმინისტრაციას, საერთო ფორმებით და ჩვენი ადგილობრივ საალწერო ორგანოების უშუალო ხელმძღვანელობით.

აღწერის ორგანიზაციულ გეგმაში პირველ ხანში შედიოდა აგრეთვე მგზავრების აღწერა კრიტიკულ დღეს მატარებლებში, რკინის-გზის სადგურებზე და ნავთსადგურებზე, მაგრამ თავის სირთულის გამო ეს ოპერაცია მოიხსნა.

აღწერის დაწყება და დამთავრება.

17 დეკემბერი — ეს აღწერის კრიტიკული დღე, აღწერის დაწყების მომენტია. მოსახლეობის აღწერას ხშირად ადარებენ ხოლმე საომარ მოქმედებას, რა თქმა უნდა არა თავის მიზნებითა და შედეგებით; აღწერის რთული ორგანიზაცია, გაშლილი ფრონტი

რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, იშვიათი სისწრაფე მოქმედებისა, მტკიცე და ურყევი დისციპლინა, ფსიქოლოგიური მთლიანობა, რთული ტაქტიკა მართლაც სამხედრო მოქმედებას მოგვაგონებს.

ჩვენი სააღწერო ორგანიზაციაც დადგა ,,მშვიდობიანი ომის'' განწყობილებაზე. ჯერ კიდევ წინა ღამეს 16 დეკემბერს ღამის 11 საათიდან აღმწერთა საგანგებოდ გამოყოფილმა რაზმებმა (როგორც უწოდებდნენ ამხანაგები ,,მზვერავმა რაზმებმა'') მოახდინეს ტფილისში, ბათომში და სოხუმში უპატრონო ბავშვების, და ქუჩის უბინადროების აღწერა (სამხედრო ტერმინოლოგიით ამას უწოდეს ,,თავდასხმა'') წინასწარ დაზვერილ ადგილებზე; მაგრამ მათი სრული აღწერა ვერ მოხერხდა, რადგან, როგორც გამოირკვა, მათ მეთაურებს გაზეთებიდან სცოდნიათ აღწერის ამბავი და შეუცვლიათ ადგილი, ასე რომ აღმწერლებს ხშირად მათი ბუხაგები (ღამის გასათევი ადგილები) ცარიელი ხვდებოდათ; უბინადროების აღწერა, სხვათა შორის, ვერ მოხერხდა საბჭოთა კავშირის სხვა ქალაქებშიაც. ამავე ღამეს ქალაქებში აღწერილ იქმნა აგრეთვე ღამის გასათევი სახლები და ბაკები.

17 დეკემბერს დილით კი 4351 კაცისაგან შემდგარი აღმწერთა ლაშქარი ერთდროულად მოედო მთელ საქართველოს და დაიწყო მოსახლეობის საყოველთაო აღწერა.

აღწერის მთავარი შტაბი—სააღწერო განყოფილება გამძაფრებული ყურადღებით ადევ-

ნებდა თვალყურს აღწერის დაწყებას და მიმდინარეობას რესპუბლიკის ყველა კუთხეებში. განყოფილებას განუწყვეტელი კავშირი ჰქონდა ყველა მაზრებთან და ავტ. რესპუბლიკებთან: აღწერის მთელი საოპერაციო პერიოდის განმავლობაში (14 დღე) ყოველ დღე იღებდა ცნობებს დეპეშით, ტელეფონით აღწერის მიმდინარეობის შესახებ და სადაც ტელეფონი არ იყო და საჭიროება მოითხოვდა — უკავშირდებოდა პირდაპირი მავთულით. როგორც საალწერო განყოფილებაში ისე ადგილობრივ საალწერო ცენტრებში — სტატბიუროებში დაწესებული იყო განუწყვეტელი მორიგეობა.

17 დეკემბრის შუადღის 12 საათზე საალწერო განყოფილებას უკვე ხელთ ჰქონდა ცნობები, რომ აღწერა დაწყებული იყო ყველგან, ყველა მაზრასა და ქალაქში; და ამას კი უნდა ითქვას, რომ ყველა არ მოელოდა. საქმე იმაშია, რომ აღწერის ძირითადი გეგმით და საკავშირო სტატისტიკის ცენტრალურ სამართველოს დასტურით საქართველოს ზოგიერთ კუთხეების აღწერა, მათი მიუვალობის გამო, უნდა გადადებულიყო 1927 წ. გაზაფხულამდე. ასეთი კუთხეები იყო ზემო სვანეთი, ხევსურეთი, მთა-თუშეთი, აფხაზეთის სვანეთი, ფსხუ (აფხაზეთში) და როკის რაიონი (სამხ.-ოსეთში). მაგრამ აღწერის მთლიანობისათვის საქ. სტატისტიკის ცენტრალურმა სამართველომ გადასწყვიტა არ დაეტოვებინა საქართველოში არც ერთი კუთხე აუწერელი და კატეგორიული წინა

დადება მისცა ადგილობრივ საარჩევნო ორგანიზაციებს, რათა მათ მიეღოთ ყოველგვარი ზომები, გადაელახათ ყოველგვარი დაბრკოლება და აუცილებლივ მოეხდინათ ამ კუთხეების აღწერაც. სააღწერო პერსონალის გმირული თავგანწირვით და ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების დახმარებით მართლაც შესაძლებელი გახდა ზემოხსენებულ მიუვალ კუთხეების აღწერაც. საისტორიოა მთათუშეთის სააღწერო ექსპედიციის მოგზაურობა. ამ ექსპედიციამ დეკემბერში, არაჩვეულებრივი, სუსხიანი ზამთრის პირობებში, დიდი თოვლისა და ქარბუქის დროს კუდაროს უღელტეხილით, (შილდა-ახალსოფლის შესაბრუნიდან,) გადალახა კავკასიონის მთაგრეხილი, გადვიდა დაღესტანში და იქიდან შემოვიდა მთა-თუშეთში. ეს რაღაც გაუგონარი და შეუძლებელი რამ იყო; მთა-თუშეთის მოსახლეობის განცვიფრებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა გაიგეს ამ „თავზე-ხელაღებული" ხალხის მოულოდნელი სტუმრობა. ეს თავგანწირული ხალხი იყო ოთხი თუში: ვანო აზიკური, ვასო ლუკაიძე, დიმიტრი უჯირაული და დანიელ ბიგოიძე (უკანასკნელი ზემო-ალვანის ალმასკომის წევრია).

ზემოსვანეთშიაც ამხ. ნიკო ოდიშარიამ, რომელმაც ადგილობრივ სტატბიუროს გამგე სვან **ნავერიანთან** ერთად, ბრწყინვალეთ ჩაატარა აღწერა და უვნებლად ჩამოიტანა სააღწერო მასალა. ის გზების შეკვრის გამო მთებში მოემწყვდა და ერთი თვით შეუგვიანდა ტფილისში დაბრუნება.

არა ნაკლებ გაბედული ნაბიჯი იყო ხევსურეთის აღწერა; მისი უშუალო ხელმძღვანელობა და ადგილზე მისვლა აიღო თავის თავზე თვით დუშეთის სამაზრო აღწერის ხელმძღვანელმა ამხ. შაქრო ბასილაშვილმა.

ასეთი თავდადებული მუშაობისათვის აღნიშნული პირნი წარდგენილ იქნენ სათანადოთ დასასაჩუქრებლათ ხელისუფლების მიერ.

მეტად საინტერესო მასალას იძლევა აღწერების ისტორიისათვის ამ კუთხეების აღწერის დეტალები, რომლის მოყვანა აქ შეუძლებელია და რომელსაც, ალბად, თავს მოუყრის და დაალაგებს სტატისტიკური მუზეუმი.

რამდენიმე სიტყვა აღწერის ფინანსიურ საკითხებზე. უნდა აღინიშნოს, რომ აღწერის კრედიტები საკავშირო სტატისტიკის ცენტრალურ სამართველოდან მეტად დაგვიანებით მივიღეთ—სულ რაღაც რამდენიმე დღით ადრე აღწერის დაწყებამდე; მაგრამ ეს კრედიტებიც იმდენად მცირე აღმოჩნდა, რომ ამ თანხებით გეგმის შესრულება და აღწერის ჩატარება შეუძლებელი იყო. სტატ ცენტრ. სამართველომ სასწრაფოდ აღძრა შუამდგომლობა სუფსიდიის გამოსათხოვად საქ. სახ. კომ. საბჭოს წინაშე და მხოლოდ უკანასკნელის დახმარებით შესაძლებელი გახდა დასახული გეგმის სრული და უნაკლო განხორციელება. საქ. სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გაღებული თანხები შეადგენდა აღწერაზე გაწეულ მთელი ხარჯების 25 პროცენტს.

როგორ შეხვდა მოსახლეობა აღწერას? აღწერის დღეებში ნათლად გამოჩნდა ნაყოფი იმ დიდი მუშაობისა, რომელიც გასწიეს სათანადო ორგანოებმა აღწერის იდეის პოპულიარიზაციის გარშემო. მოსახლეობის დიდმა უმრავლესობამ, თვით მივარდნილ და ჩამორჩენილ კუთხეებშიაც კი, წინასწარ იცოდა აღწერის ამბავი და დაახლოვებით იცოდა ისიც, თუ რისთვის ხდებოდა აღწერა და რა სარგებლობას მოუტანდა იგი. აღმწერი მათთვის მოულოდნელი და უსიამოვნო სტუმარი არ იყო; გლეხისა თუ მუშის ოჯახებში სიამოვნებით ეგებებოდნენ აღმწერლებს და დაუზარებლად აძლევდნენ პასუხს აღწერის ყველა კითხვებზე.

გლეხობა არა თუ გაურბოდა აღწერას, არამედ ხშირი იყო შემთხვევა რომ, შეცდომით გამოტოვებული გლეხი თვითონ დაეძებდა აღმწერსა და სთხოვდა ჩაეწერა იგი და მისი ჯალაბობა. აღსანიშნავია, რომ აღწერის განმავლობაში არ ჰქონია შემთხვევა არავითარ აშკარა უკმაყოფილებას მოსახლეობის მხრივ, არავითარ ექსცესებს-ურომლისოდაც არც ერთი აღწერა წინეთ არ ჩატარებულა. ერთი სიტყვით, აშკარად უნდა აღინიშნოს, რომ ამ აღწერის დროს **მოსახლეობამ გამოააშკარავა თავისი კულტუროსნობა და მაღალი საზოგადოებრივი შეგნება, რომელიც** მთავარი საწინდარი იყო აღწერის წარმატებისა.

მეორე მთავარი პირობა აღწერის სასურველად ჩატარებისათვის იყო აღწერის სუბიექტის—სააღწერო შტატის თვისობრივი შემადგენლობა.

ვისგან შესდგებოდა სააღწერო პერსონა-
ლი? როგორი იყო მისი კვალიფიკაცია, და-
მოკიდებულება თავის მოვალეობისადმი და
აგრეთვე მოსახლეობისადმი?

სააღწერო პერსონალის შემადგენლობა ასეთი იყო:

აღმწერთა საერთო რიცხვი უდრიდა 3978, რომელთაგან 1184 მუშაობდა ქალაქებში, ხოლო 2794 სოფლებში; ინსტრუქტორები იყვნენ 373 (აქედან 92 ქალაქებში და 281 სოფლებში); ხელმძღვანელი პერსონალი ადგილობრივ (რწმუნებულები, სამაზრო ხელმძღვანელები, მათი თანაშემწენი, სააღწერო უბნების გამგენი ტფილისში და ბათომში და უფროსი ინსტრუქტორები) 65 და ცენტრში (სააღწერო განყოფ. შტატი) 8. მაშასადამე აღწერაზე მუშაობდა სულ 4424 კაცი; აქედან 78,6% მამაკაცი, ხოლო 21,4%—დედაკაცი.

ინსტრუქტორთა და რეგისტრატორთა საერთო რიცხვიდან იყვნენ:

სახელმწიფო სტატ. ორგან. თანამშრ.	0,5%
სარაიონო სტატისტიკოსები	1,4 „
მოხალისე კორესპონდენტები	6,5 „
სხვა უწყებების სტატისტიკოსები .	1,3 „
მასწავლებლები	64,2 „
მოსწავლენი (უმთავრეს. სტუდენტობა)	7,1 „
უმუშევრები და დანარჩენი	19,0 „

აქედან საერთოდ აღწერებში და სხვა სტატისტიკურ გამოკვლევებში ყოფილა ნამუშევარი 40,2% (ინსტრუქტორთა შორის 84,8%, ხოლო რეგისტრატორებში—36,0); 1916 და 1917 წ.წ. სას.-სამ. აღწერებში მიუღია მონაწილეობა

28,6%-ს, 1922 წ. საქალაქო და 1923 წლის სას.-სამ. აღწერებში 44,8% და დანარჩენ 26,6%-ს სხვა სტატისტიკურ გამოკვლევებში.

განათლების ცენზის მიხედვით სააღწერო პერსონალი ნაწილდება შემდეგნაირად: უმაღლესი ცოდნით 17,2%, საშუალოთი—64,2, ხოლო დაბალი ცოდნით 18,6%. წლოვანების მიხედვით ასეთი სურათია: 19 წლამდე 15,6%, 20-დან 29 წლამდე—55,8%, ხოლო 30 წლის და მეტი—28,6%.

კომპარტიის წევრები და კანდიდატები შეადგენდენ საერთო რიცხვის 10,5%-ს, ა. ლ. კომკავშირის წევრები და კანდიდატები 21,7% ხოლო უპარტიონი—67,8%-ს.

აქაც უნდა აღინიშნოს, რომ მთელმა სააღწერო პერსონალმა, მიუხედავად ზამთრის მძიმე პირობებისა, გამოიჩინა იშვიათი ენერგია, მუყაითობა და საქმის სიყვარული; უმეტესობა მათგანი გამსჭვალული იყო იმ აზრით, რომ იგი აკეთებდა დიდ საზოგადოებრივ—კულტურულ საქმეს და ამიტომ არ ერიდებოდნენ რაიმე დაბრკოლებებს და ხშირად სიცოცხლის საფრთხესაც. დაბრკოლებები კი ბევრი იყო აღწერის პროცესში. უპირველეს ყოვლისა ამინდი; მარტო ამან, ერთად-ერთმა არ მოისურვა აღწერის ხელისშეწყობა: მთელი აღწერის განმავლობაში დასავლეთ საქართველოსა და აფხაზეთში განუწყვეტლივ წვიმდა; მთიან ადგილებში—რაჭაში, ლეჩხუმში, სამ.—ოსეთში, აჭარაში მოვიდა დიდი თოვლი, შემდეგ მას მოჰყვა ძლიერი ქარბუქი, რო-

მელმაც გზები შეკრა და ზოგიერთ ადგილას რამდენიმე დღით შეაჩერა აღწერის ნორმალური მიმდინარეობა; აღწერის პირველ დღეებში შედარებით კარგი ამინდი იყო აღმოსავლეთ საქართველოს აღმოსავლეთ ნაწილში, მაგრამ მეოთხე-მეხუთე დღეს აქაც შეიცვალა თოვლით და ზოგან ქარბუქითაც. აი ასეთ პირობებში უხდებოდათ კარიდან-კარზე და სოფლიდან სოფელში სიარული აღმწერლებს. ყუდაროს რაიონის (სამ.-ოსეთი) ერთი აღმწერი მოჰყვა თოვლის ზვავის ქვეშ, მაგრამ დროზედ მიუსწრეს და გადაარჩინეს სიკვდილს; ამავე ოსეთის მეორე მთიან რაიონის (როკის) აღმწერი, ცხენით მიმავალი, გზაში გაიტაცა ქარბუქმა, ჩააგდო ხრამში და თოვლით დაფარა და მხოლოდ დიდის წვალების შემდეგ განთავისუფლებულ იქმნა თანამგზავრ მილიციელის მიერ.

რა თქმა უნდა იყო გამონაკლისებიც: ქ. გუდაუთის აღმწერლებმა იუკადრისეს წვიმის ქვეშ, ტალახში სიარული და კრიტიკულ მომენტში უარი განაცხადეს აღწერაზე; მათ სამაგიეროდ გამოყვანილ იქმნა მთელი ადგილობრივი პედაგოგიური პერსონალი; ასეთივე შრომის დეზერტირობა ჩაიდინეს ქ. შაუმიანის მასწავლებლების ერთმა ჯგუფმაც, მაგრამ ეს შემთხვევები შეუმჩნეველი ლაქა იყო იმ საერთო შეგნებულ და თავგანწირულ მუშაობაში, რომელიც გასწია მთელმა სააღწერო პერსონალმა.

ამ შეერთებული საერთო ძალ-ღონით დამთავრებულ იქმნა აღწერა მთელ საქართველოში

დანიშნულ დროზედ (ქალაქებში 23 და სოფელ ადგილებში 30 დეკემბერს, როგორც გათვალისწინებული იყო გეგმით); ზოგიერთმა მაზრებმა მოასწრეს ვადაზე ადრე დამთავრებაც: მათში პირველი იყო ახალციხის მაზრა (გაათავა 27 დეკემბერს) შემდეგ სენაკის (28), ოზურგეთის, ლეჩხუმის და სხვა.

აღწერის შედეგების წინასწარი გამოთვლა ხდებოდა თვით აღწერის პროცესშივე, ასე რომ რამდენიმე დღის შემდეგ ყველა კუთხეებიდან უკვე ხელთ გვქონდა ზოგადი ცნობები მოსახლეობის რაოდენობის შესახებ, სახელდობრ 26 დეკემბერს ქალაქის მოსახლეობის და 3 იანვარს სოფლის მოსახლეობის ცნობები.

დაახლოვებით ორი კვირის განმავლობაში დამთავრებულ იქმნა ადგილობრივ მთელი პროცედურა აღწერასთან დაკავშირებით (მასალების ჩაბარება, გადასინჯვა—შემოწმება, წინასწარი ჯამების გამოყვანა და სხვა) და 16 იანვრისთვის თითქმის ყველა მაზრებიდან უკვე ჩამოტანილი იყო ტფილისში—სააღწერო განყოფილებაში მთელი საააღწერო მასალა.

ამავე რიცხვებში სტატისტიკის ცენტრ. სამართველოს მმართველმა გააკეთა ვრცელი მოხსენება საქ. სახ. კომ. საბჭოში აღწერის დამთავრების, საააღწერო მუშაობის საერთო პირობების და აღწერის შედეგების შესახებ. სახალხო კომისართა საბჭომ მოსახლეობის აღწერის ჩატარება საქართველოში სცნო სრულიად დამაკმაყოფილებლად და მადლობა გამოუცხადა მთელ საააღწერო პერსონალს.

მიმდინარე წლის თებერვლის პირველ რიცხვებში აღწერის წინასწარი ჯამები—მაზ-რობლივი ცნობები—საბჭოთა დაწესებულე-ბების მხრივ დიდი მოთხოვნილებების გამო, გამოიცა პატარა წიგნაკის სახით ერთ ფურ-ცელზე.

აღწერის შედეგების სისრულის მხრივ აღსა-ნიშნავია, რომ საქართველოში არც სოფლად და არც ქალაქად არ ყოფილა შემთხვევა განმეორე-ბითი აღწერისა ან გამოტოვებისა (რა თქმა უნ-და აქ ლაპარაკი არ შეიძლება ერთეულ შემთხვე-ვების გამოტოვებაზე), მაშინ როდესაც ძვე-ლად არც ერთ აღწერას უამისოდ არ ჩაუვლია; წინა აღწერების დროს ხშირი იყო ხოლმე მთე-ლი სოფლების და ქვარტალების (ქალაქებში) გამოტოვება ან მასალის უკარგისობის გამო მა-თიხელმეორედ აღწერა. ის განცხადებები, რომელიც შემოდიოდა სააღწერო ბიუროებში აღწერის შემდეგ დღეებში (უმთავრესად ქალა-ქებში) გამოტოვების შესახებ, როგორც ირ-კვეოდა შემდეგ, დამყარებული იყო ხოლმე სრულს გაუგებრობაზე.

აღწერის ორგანიზაციულ ნაკლთა შორის აღსანიშნავია მხოლოდ ის გარემოება, რომ სა-კავშირო სტატ. ცენტრ. სამართველოდან კრე-დიტის გვიან მიღებამ რამდენადმე შეაფერხა წინასწარი მოსამზადებელი სამუშაოების სა-თანადო ტემპით შესრულება და მტკიცე ფი-ნანსიური გეგმის შედგენა თავის დრო-ზედ. დაგვიანებით მოდიოდა აგრეთვე ინს-ტრუქციებიც; ხოლო ამ უკანასკნელის ხშირ ცვლილებების და მრავალ დამატებითი მუ-

ხლებს (უკვე შტატის მომზადების პროცეს-შიაც კი) ერთგვარი გაუგებრობა და ნერვიულობა შეჰქონდა სააღწერო პერსონალში.

როგორია აღწერის შედეგების ღირებულება პროგრამული თვალსაზრისით? თუ პირველ ხანში აღწერის მასალების ამ მხრივ შეფასება ძნელი იყო, დღეს, როდესაც სააღწერო მასალის დამუშავებას შეუდექით და მისი პირველი სტადია—მასალის შემოწმება და კრიტიკა თითქმის თავდება—უკვე გაბედულად შეიძლება ლაპარაკი აღწერის პროგრამული კითხვების ღირსება - ნაკლულევანებაზე. მასალის ამ შემოწმებამ და კრიტიკამ დაგვანახვა, რომ აღწერის პროგრამა საერთოდ კარგად ჰქონია შეთვისებული სააღწერო პერსონალს და ამ მხრივ რაიმე, ცოტად თუ ბევრად მნიშვნელოვან, დეფექტებს აღწერის მასალებში არ უნდა მოველოდეთ; ამის საკმარისი საბუთი უკვე გვაქვს. ყველაზედ უკეთესად არის შევსებული, როგორც მოსალოდნელი იყო, მთავარი ძირითადი ფორმულიარი – პირადობის ბარათი. რა თქმა უნდა აქაც გვხდება აქა იქ მცირე დეფექტები ზოგიერთი კითხვების გარშემო, მაგრამ უმრავლესობა ამ დეფექტებისაც იმ ხასიათისაა, რომ მათი გამოსწორება კრიტიკის დროს ადვილად შეიძლება.

პირადობის ბარათში ყველაზედ უფრო რთული იყო მე-12 კითხვა და ამიტომ აქ უფრო გვხვდება ხოლმე შეცდომები; ხშირად არ არის ნაჩვენები დამატებითი ხელობა, რომლის აღრიცხვაც ძნელი იყო არა მარ-

ტო ამ კითხვის სირთულის გამო, არამედ იმის გამოც, რომ თვით მოსახლეობაც ხშირად მალავდა თავის დამატებით მოსაქმეობას; ასე რომ შეიძლება ჩვენმა აღწერამ ვერ მოგვცეს დამატებითი მოსაქმეობის გავრცელების და თვითმომქმედი მოსახლეობის შრომით დატვირთვის სრული სურათი.

რამდენადმე გაუგებრობას ჰქმნიდა ადგილობრივ მე-4 კითხვის აღრიცხვა—ეროვნების შესახებ. უდავო და სალი თვით გამორკვევის პრინციპის მტკიცედ გატარება (როგორც ამას კატეგორიულად მოითხოვდა ინსტრუქცია) ზოგიერთ კუთხეებში ან მოსახლეობის ამა თუ იმ ნაწილში, სადაც თვითშეგნების დონე დაბალი იყო, იწვევდა კითხვის ყალბად გაგებას და დამახინჯებულ პასუხს. ხშირი იყო ისეთი შემთხვევები, როდესაც ეროვნების კითხვაზე უპასუხებდნენ თავის კუთხურ-ტერიტორიულ კუთვნილებას. მაგრამ ასეთი შეცდომების გამოსწორებაც არ იქნება ძნელი კრიტიკის დროს.

ქალაქებში და ქალაქის ტიპის დასახლებულ ადგილებში შედარებით უფრო უძნელდებოდათ საოჯახო და სახლკარის ბარათის შევსება. ამ ნაწილში საყოველთაო გაუგებრობას და სირთულეს წარმოადგენდა გარკვევა „ბინის“ ცნებაში და ბინების სინამდვილეში აღრიცხვა. ამას თავისი გასამართლებელი მიზეზიც ჰქონდა: ომისა და რევოლიუციის შემდეგ, თანამედროვე საბინაო კრიზისის გამო დიდ ქალაქებში იმდენად შეიცვალა მდგომარეობა, თითქმის სრულიად წაიშალა საზღვ-

რები ძველი ბინისა (როგორც ტეხნიკური ნაშენობისა), რომ დღეს, მართლაც, ხშირად უძნელდებოდათ ჩვენს აღმწერლებს, და თვით მოსახლეობასაც, ოთახისა და ბინის ერთი მეორისაგან გარჩევა.

სახლკარის ბარათიდან არ არის შევსებული სრულად მე-11 კითხვა, რომელიც თხოულობდა სახლკარში მოთავსებულ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებების ჩამოთვლას.

კერძოდ ,,საოჯახო ბარათის'' შესახებ უნდა ითქვას, რომ იგი საერთოდ მეტად რთული ფორმა იყო და ასეთი რთული ფორმის უნაკლოთ შევსება მოსახლეობის აღწერის დროს, რომელმაც ელვის სისწრაფით უნდა გაიაროს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე, მეტად ძნელი გამოდგა.

რამდენიმე სიტყვა ზემოდ მოთავსებული წინასწარი ჯამების შესახებ. ეს ჯამები, როგორც იყო აღნიშნული, გამოთვლილია თვით აღწერის პროცესში, ნაჩქარევი წესით და ამის გამო ზედმიწევნით სწორ ცნობებს არ წარმოადგენს; აღწერის საბოლოო დამუშავების შემდეგ ეს ჯამებიც აუცილებლივ შეიცვლება, მაგრამ, რა თქმა უნდა, ეს ცვლილებები უმეტეს შემთხვევაში სრულიად უმნიშვნელო იქნება და პრაქტიკული მიზნებისთვის ამ ცნობების გამოყენება ეხლანდელი სახითაც, რასაკვირველია, თამამად შეიძლება.

წინასწარი ჯამებით სარგებლობის დროს მხედველობაში უნდა გვქონდეს შემდეგი გარემოებაც: დასახლებულ პუნქტების (სოფლების) გარეშე მყოფი მოსახლეობა (რკინის-გზის

სადგურების მოსახლეობა, სახალხო მამულების მუშა-მოსამსახურენი, სადარაჯო პუნქტებზე მყოფნი, გზებზე, ხიდებზე და არხებზე მომუშავე მუშები და სხვა) თუმცა ცალკე იწერებოდა, მაგრამ ტერიტორიალურად შედიოდა მახლობელ სააღწერო უბანში; ამის გამო შესაძლებელია ასეთი მოსახლეობა ზოგან მითვლილი იყოს მახლობელი თემის მოსახლეობის საერთო ჯამზე (მასალის დამუშავების დროს დასახლებულ პუნქტების გარეშე აწერილი მოსახლეობა ყველგან გამოყოფილი იქნება ცალკე).

წინასწარ ჯამებში არ შედის აგრეთვე საქართველოს ტერიტორიაზე მდგომი წითელი არმია, ფლოტი და პოლიტ-სამართველოს სამხედრო ნაწილები.

სტატისტიკის ცენტრალური სამმართველო

ИСТОРИЧЕСКАЯ

საქართველოს მოსახლეობა
Население Грузии



საქართველოს ქალაქის და სოფლის მოსახლეობის პროცენტული შეფარდება
Процентное соотношение городского и сельского населения Грузии.



საქართველოს მოსახლეობის ზრდის ტემპი
Темп роста населения Грузии.



შემჩნეული შეცდომები Замеченные опечатки

გვერდი Страница		სვეტი Графа	დაბეჭდილია Напечатано	უნდა იყოს Следует
40	აფხაზეთის ჯამი Итого по Абхазии	3	480	481
"	"	4	32405	32471
"	"	6	33724	33790
41	"	7	87195	87362
"	"	8	81042	81200
"	"	9	168237	168562
44	სოხუმის მაზრის ჯამი Итого по Сухум. уезду	3	152	153
"	"	4	9690	9756
"	"	6	10478	10544
45	"	7	28525	28692
"	"	8	26493	26651
"	"	9	55018	55343
50—51	რიგის Порядковый № 3	2—9	ბათუმი, Батум	ბორჯომი, Боржом
"	" 4	"	ბორჯომი, Боржом	ბათუმი, Батум
"	" 22	"	შაუმიანი, Шаумян	ცხინვალი, Цхинвали
"	" 23	"	ცხინვალი, Цхинвали	ჭიათურა, Чиатуры
"	" 24	"	ჭიათურა, Чиатуры	შაუმიანი, Шаумян